გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


**უქმეების გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 14-ს აპრილსა.**

ტფილისი, 4 აპრილი

ქრისტე აღზდგა! აღზდგა მაცხოვარი კაცობრიობისა! მთელის ქვეყნის ქრისტიანობა ჰკადრობს დიდებულს საგალობელს ქრისტეს აღზდეგისას. დიდი და პატარა სიხარულით ჰღაღადებს: „ქრისტე აღზდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი. „ქრისტიანობამ იცის — რისთვის აქებს და ადიდებს ამ დღეს: მკვდრეთით აღზდგა ქრისტე და აღადგინა თვისი კაცთა მხსნელი მოძღვრება, თვისი ახალი, ცხოვრების მომნიჭებელი აღთქმა.

რით მოგვანიჭა ცხოვრება მკვდრეთით აღდგომილმა ღმერთმა, ქვეყანაზედ მოვლინებულმა ვითარცა ჭეშმარიტი ძე კაცისა? ძველის მოძღვრებისაგან განდიდებულს, გაპატიებულს ხორცს, რომელსაც მარტო „კბილი კბილისა წილ ჰშიოდა და თვალი თვალისა წილ“, მოკვდინებული ჰყვანდა სული, რომელიც მარტო ყოვლად მხსნელის სიყვარულის სხივითა ჰნათობს, ჰთბება, ჰყვავის, სცოცხლობს და სულდგმულობს. აი ეს მკვდარი სული აღზდგა მკვდრეთით ქრისტეს აღდგომითა. რა საცხოვარი ძალი იყო ესოდენ ძლიერი, რომ მკვდარი სული მკვდრეთით აღადგინა? ეს იყო და არის მარტო ერთი მცნება, რომელიც ფესვად გაედგა, საძირკვლად დაედვა მთელს მშვენიერს, დიდებულს, მართლადა ცხოვრების მომნიჭებელს მოძღვრებას ქრისტესას: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

აი მხსნელი კაცობრიობისა! აი მაცხოვარი!. ამას გარედ ადამიანს შველა არა აქვს, თუ უნდა, რომ კაცად, ღვთის სახედ და მსგავსებად დარჩეს. ამ ყოვლად მაცხოვარს, ყოვლად მხსნელს ფესვზედ ამოვიდა, გაიშალა, გადაჰფინა შტოები, აყვავდა მთელი იგი დიადი ხე ახალის ცხოვრებისა, რომელსაც ახალი აღთქმა, ქრისტიანობა ჰქვიან და რომელსაც ეს მცნება, როგორც მზე, ანათებს და ათბობს. ამ მცნებამ გააპო კაცობრიობის ცხოვრება ორ დიდ-ნაწილად და შუა გაუტარა დიდი კვალი სამზღვრადა. კვალს იქით დარჩა მოძღვრება შურის ძიებისა, სამაგიეროს გადახდისა, ჯავრისა და მრისხანებისა, და კვალს აქედ — მოძღვრება ურთიერთობისა, ურთიერთის სიყვარულისა, შენდობისა, მიტევებისა, მშვიდობისა, შეწყნარებისა. იქ რისხვა და მსჯავრია, აქ მშვიდობის-ყოფა და მიტევება!

„არა კაც ჰკლა, არა იმრუშო, არა იპარო, არა ცილი სწამო, არა გული გითქმიდეს არარაზედ, რაიც იყოს მოყვსისა შენისა“ — ამბობდა ძველი მოძღვრება ძველის ცხოვრებისა. რა არის ეს — ნუ მოჰკლავ, ნუ მოიპარავ, ნუ იმრუშებ, ნუ ცილს სწამებ, ნუ შეიშურვებ? ეს ის არის, რომ ნუ იქმ ბოროტსაო. მოვიდა ახალი აღთქმა, ახალი მოძღვრება ახალის ცხოვრებისა და გვეუბნება: არამც თუ ნუ იქმ ბოროტსა, ჰქმენ კეთილიო. ნუ იქმ ბოროტსა მცნებაა ძველისა, ჰქმენ კეთილი მცნებაა ახლისა და ამით განირჩევა ძველი აღთქმა ახლისაგან. დიდი მანძილია ბოროტის არა-ქმნისა და კეთილის ქმნის შორის. ერთმანეთს არასფერში არა ჰგვანან. ბოროტის არა-ქმნა იგია, რომ არ მიაყენო ვნება მოყვასსა, კეთილის ქმნა იგია, რომ სიკეთე მიანიჭო, სიკეთე უყო. საკმაო არ არის, რომ კაცი არ მოჰკლა, უნდა აცოცხლო კიდეც; საკმაო არ არის არა გამოსწირო რა, უნდა შესძინო კიდეც; საკმაო არ არის არა ცილი სწამო, უნდა მართალს მიუწყაკდე კიდეც; საკმაო არ არის არა გული გითქმიდეს მოძმის კეთილისათვის, უნდა გიხაროდეს, მხიარულობდე კიდეც, უნდა შველოდდე, ხელს უწყობდე; საკმაო არ არის არა გძულდეს მოძმე, უნდა გიყვარდეს კიდეც; საკმაო არ არის არ-ყოფა ბოროტისა, უნდა კეთილის ყოფა; საკმაო არ არის ბოროტისათვის ხელ-ფეხი შეიკრა, უნდა სიკეთისათვის ხელი, ფეხი გაძალო, ამოქმედო.

ძველი აღთქმა ხორცის უვნებელობისათვის ფარი იყო, ახალი აღთქმა სულის აღდგომისათვის საცხოვარი ღონეა. ამიტომაც იქ კბილი კბილის წილ არის და თვალი თვალის წილ, ესე იგი, ხორცი ხორცის წილ, აქ კი სიყვარული, შენდობა და მიტევება, ესე იგი, სულის დადება მოყვასისათვის. დიდმა მოძღვრეამ ყოვლად მაცხოვარ სიყვარულისამ გაჰფანტა ბნელი, გაადნო ყინული ძველის უწყალობისა და მოავლინა იგი ნათელი და სითბო წყალობისა, ურომლისოდაც ქვეყნიერობაზედ არაფერი არა ჰხეირობს, არაფერი არ მოდის, არ იზდება, არა ჰყვავის, არა სცხოვრობს. გაიყარა ძველი და ახალი, ბნელი და ნათელი, სიკვდილი და სიცოცხლე და მოგვენიჭა ცხოვრება, იმიტომ-რომ მკვდარ იყო სული ჩვენი და ქრისტემ აღადგინა მკვდრეთით.

აბა დაუკვირდით თვითონ ჟამს ქრისტეს აღზდეგის დღესასწაულისას რა საოცრად განსურათებულია ეს ძველისა და ახლის, სიკვდილისა და სიცოცხლის, ბნელისა და ნათელის ერთმანეთისაგან გაყრა. თითქო იგავია, თითქო განგებ არის ასე მომხდარი, რომ თვალითაც დავინახოთ ის, რასაც გულითა ვგრძნობთ, გონებითა ვხედავთ. როდის მოდის დღესასწაული ქრისტეს აღზდეგისა? თითქმის პირველს ხანს გაზაფხულისას, ესე იგი, მაშინ, როცა ზამთრისაგან გაყინული, სუდარა-მოსილი, განძრცვნილი, უმწვანო, უყვავილო, უსიხარულო, უსიცოცხლო ბუნება სიცოცხლისათვის თვალს ახელს, იღვიძებს ხელახლად ამწვანებისათვის, აყვავებისათვის, ახალის ცხოვრებისათვის. თუ ზამთრისაგან კვდება ბუნება, გაზაფხულისაგან მკვდრეთით აღზდგება ხოლმე. იქ მიძინებული სიკვდილია ძველისა, აქ მკვდრეთით აღდგომილი ახლად გამოღვიძებული სიცოცხლეა. თუ ზამთარი სახეა სიბერისა, მიძინებისა, სიკვდილისა, გაზაფხული სახეა ახლობისა, აღდგომისა, სიცოცხლისა.

არამც თუ დრო წლისა, არამედ საათიც კი დღისა, როცა პირველად აღმოვიტყვით ხოლმე „ქრისტე აღზდგაო“ — ეს საათიც კი გვანიშნებს რის მომასწავებელია აღდგომა ქრისტესი: აღზდგა ქრისტე და ბნელი უნდა განშორდეს ნათელსა, ნათელმა უნდა იმეფოს, იხელმწიფოს. ეს ის საათია, როცა ღამე უკუიქცევა თვისის სიბნელითა და მის მაგიერ ცხოველ მყოფელი დღე მოდის თვისის სინათლითა. ამოდის თუ არა ცაზედ ალიონი — ეს წინამორბედი განთიადისა და მტრედის ფრად გარიჟრაჟებდა გუმბათი ცისა, ზარი დღესასწაულისა გვიწვევს სადიდებლად და საგალობელად ქრისტეს აღზდეგისათვის, თითქო გვეუბნებოდეს: აღზდეგით ძილისაგან, მიდის ბნელი და მოვალს ნათელი. იხილეთ და გაიხარეთ! ეს ის საათია, როცა ღამის სიბნელე უთმობს ადგილს დღის სინათლესა, როგორც ძველის ცხოვრების ბნელმა დაუთმო ადგილი ახალის ნათელსა.

ცხოვრების მომნიჭებელს ქრისტეს აღზდეგის დღესასწაულს უკეთესი დრო ვერ შეერჩეოდა, თუ არა განთიადი გაზაფხულისა, ესე იგი, ის ხანი და საათი, როცა ცხოველ-მყოფელი სითბო სცვლის სიცივეს, ნათელი ბნელსა და მთელს ბუნებას აღიმილებს საცხოვარი ძალი ახლად აღორძინებისა, ახლად გადაშლისა, ახლად აყვავებისა, ახლად ცხოვრებისა... მოძღვრება ქრისტესი იგივ განთიადი იყო, იგივ გაზაფხული კაცობრიობის ცხოვრებისათვის.

## ახალი ამბავი

*** გუშინ-წინ გამოვიდა უკანასკნელი ნომერი გაზეთის „კავკაზ. ობოზრენიესი“. ამ ნომერში რედაქცია აცხადებს, რომ რადგან გარემოებამ ხელი არ მოგვიროთა, ჩვენის გაზეთის ბეჭდვას ერთის თვეის ვადით ვაჩერებთო.

*** „წერა-კითხვის საზოგადოების“ ლოტარეია-ალეგრისათვის, რომელიც ქუთაისში გაიმართება ბანკის არჩევნების დროს, ბლომად შეგროვდა ამ

# ფელეტონი

## ქრისტე აღსდგა!

გამაგრდი წელში ჩაგრულო,
რას გაგტეხია გულია;
აღსდგა დღეის დღეს მკვდრეთით ის,
ვინც შენთვის ჯვარზედ ცმულია;

—

ვინცა სთქვა: «მოდით მაშვრალნო;
ნუ უთრთით სოფლის ვნებასა,
და ჩემში ჰპოებთ ცხოვრებას,
ნუგეშს და განკურნებასა»;

—

ვინცა სთქვა: „მალით, ტაცილით
ნურა გინდა-რა სხვისიო,
და გწამდეს, კაცო, მოყვასი,
ვითარცა თავი თვისიო“;

—

ვინც ვლიდა ფეხთ უმოსელი,
არვისი ჰქონდა რიდება,
და დასთმო მოძმეთ გულისთვის
ამ ქვეყნის ავლა-დიდება!

—

აღსდგა ის, ვინცა ეწამა,
თავი შესწირა სიმართლეს,
ვისგანც იძლია სიბნელე
და გზა მიეცა სინათლეს!

—

„აღსდგა ქრისტე!“ „ჭეშმარიტად!“
— ვიცი, მეტყვი გულით შენცა;
გამხნევდი! მომხრეთა გვყვანან
ძარს სიმართლე — ზევით ზეცა.

ს. ნასარიძე

## აღდგომის გამო

„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი“...

კიდით კიდემდე გაისმის დღეს დიდი და წმინდა სიტყვები: „ქრისტე აღსდგა.“

— „ქრისტე აღსდგა“, „ქრისტე აღსდგა!“ ღაღადებს ყველა და ბუნებაც ხმას აძლევს საერთო ღაღადისს.

— „ესე არს დღე უფლისა, ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ მას შინაო“, გალობს გაზაფხულის მზის სხივებით გამთბარი და გალალანებული მთა და ველი, მინდორი და ტყე.

ყველა ხარობს, ყველა ჰფეთქავს სიცოცხლით, ყველა ბრწყინავს საუფლის-წულო დღესასწაულის დღეს და არავის გულში აღარა რჩება ადგილი დარდსა და მწუხარებას, ჩრდილსა და ღრუბელსა.

ჭეშმარიტად დიდი დღეა, ბრწყინვალე დღეა დღე აღდგომისა!

ასე ხარობდნენ და იშვებდნენ აღდგომა დღეს ჩვენი ძველნი, ჩვენი წინაპარნიცა. ძველმა ქართველმა ჩვენზედ უკეთ იცოდა მხიარულება, მაგრამ ისიც ჩვენზედ უკეთ იცოდა, რომ სიკვდილი დამთრგუნველია სიკვდილისა, რომ სიკვდილს მოსდევს აღდგომა. როგორც მაცხოვარმა დასდო თავი თვისი ჩვენდა ხსნად და გასახარელად, ისე ჩვენი ძველნი, ჩვენი წინაპარნი დაუზოგველად სდებდნენ ქრისტიანობის დასაცველად, მამულის ცხოვნებად. სდებდნენ თავს ის გმირნი და იმით ნუგეშობდნენ, რომ ჩვენის სიკვდილით მამულის სიკვდილი დაითრგუნებაო, ჩვენის თავდადებით ჩვენი მომავალნი გაიხარებენო.

ეხლანდელმა ქართველებმა ჩვენ წინაპართაგან უნდა ვისწავლოთ შვებაცა და მხიარულებაცა, სიკვდილიცა და თავდადებაცა. როცა ძველნი ხარობდნენ, ხარობდენ განუსაზღვრელად, როცა გლოვობდნენ, გლოვობენ მძიმედ ძაძა-მოსილნი. რაც სწამდა ძველს ქართველს, სწამდა სულითა და გულით, რაც უყვარდა, უყვარდა ძლიელად, მთელის თავის არსებითა; რისთვისაც თავსა სდებდა, სდებდა აღტაცებით და ისეთის სიმტკიცითა და სულის სიმშვიდითა, რომ ხორცი ველარა ჰგრძნობდა სიმწარესა წამებისას და მოკვდინებისას. ერთის თავდადებულის მაგალითი ათს ამხნევებდა, ერთის გვირგვინი წამებისა ასსა და ათასს სიცოცხლეს ჰმატებდა.

არა მარტო საქართველოში ჰყვარებიათ სარწმუნოება ქრისტესი, არამედ ბევრგან სხვაგანაც. მარტო საქართველოში არა ყოფილან წამებულნი და თავდადებულნი სარწმუნოებისათვის, მაგრამ სხვათა თავდადება და თავდადება ქართველთა ბევრად განირჩევა ერთმანერთისაგან. საქართველოს გარეშემო არა-ქრისტიანენი ერტყნენ და ეს არა-ქრისტიანენი ჰლამობდნენ დაეპყრათ საქართველო. მაგრამ, რადგან ძალით მტერი ვერას აწყობდა, სხვა ხერხით სცდილობდა ქვეყნის დამორჩილებასა: «უარ-ჰყავით ქრისტე და სარწმუნოებაო, დაემკვიდრენით ჩვენთანა და ზავი ძმობითი, ერთობაი და იგივეობაი ცხოვრებისა გვაქვნდინ ჩვენთანაო. და უკეთუ არა ისმინოთ ჩვენი, აჰა მახეილნი აღმოხდილნი ხელთა შინა ჩვენთა, რომლითა აღისპნეთ». საქართველო არ უარ-ჰყოფდა ქრისტესა, საქართველოს არ უნდოდა ერთობა და იგივეობა ცხოვრებისა სხვა სჯულისა და სარწმუნოების ხალხთანა და ისპობოდა სიცოცხლე მამულის-მოყვარე ქართველთა, იღვროდა სისხლი კოკი-პირულად და ეს სისხლი უხვად რწყავდა საქართველოს მიწა-წყალს, რომელიც ერთის თავდადებულის მაგიერ, ერთის წამებულის ნაცვლად ზრდიდა ათსა და ოცს მამულის-შვილსა, ათსა და ოცს გმირსა, მამა-პაპათა ზნე ჩვეულების და განსაკუთრებულის ყოფა-

ბოლოს ქამს სხვა-და-სხვა გვარი ნივთები შემწირველთაგან.

*** ქართლიდამ გვწერენ: „მარტი სულ წვიმით გავიდა; წვიმას სიცივეები მოჰყვა და ამის გამო საქონელი ძრიელ შეწუხდა, მეტადრე ცხვარი; შემოდგომაზე ვერა მოხნა-რა გლეხკაცობამ, გაზაფხულიც ამისთანა უამინდო დაუდგა და ლამის უხნავი დარჩეს ხალხიო.

*** გორიდამ გვწერენ: „ჩვენი ქალაქი სავსეა სხვა-და-სხვა სასწავლებლებით; მოსწავლენი სამასზე მეტი იქნება; ამათ ძალიან ხშირად სჭირდებათ არა თუ სახელმძღვანელო წიგნები, არამედ სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთებიც, საკითხავი წიგნებიც, ქართული თუ რუსული, მაგრამ გორის მაღაზიებში ვერა შოულობენ და თუ შოულობენ, ძალიან ძვირად. ურიგო არ იქნება, რომ საკუთარი წიგნის მაღაზია გამართოს ვინმემ, ისეთი მაღაზია, სადაც მოიპოვებოდეს სამწერლო ნივთები, სახელმძღვანელოები ყველა სასწავლებლებისათვის და ქართული საკითხავი წიგნები. როგორც ამბობენ აქა, ზოგიერთებს განუზრახავთ ამ გვარი წიგნის მაღაზია გამართონო.

*** იქიდამვე გვატყობინებენ: „გორი ავსებით აივსო სხვა-და-სხვა ჯურისა, „ფორმისა და მოდნის“ ადვოკატებითა; აქვთ თურმე საკუთარი „კანტორა“, თავს-მჯდომარე, „ჩლენები“ და სხ. ერთი მათგანი თურმე დაუწერს ქაღალდს; საბრალო მსხვერპლი უგუნურობისა მიდის სასამართლოში, აქ უხვდება სხვა „ჩლენი“ კანტორისა, არწმუნებს, რომ ცუდად არის დაწერილი, მე კარგად დაგიწეროო. ამ ნაირად საბრალო მსხვერპლს ორ ნაირად აძრობენ ტყავსა. კიდევ კარგი, რომ საქმეზე დაუწერონ; ხშირად, ძალიან ხშირად, ისე სწერენ, რომ მოსამართლე უკან უბრუნებს ქაღალდსა. რასაკვირველია, ამ ყვლეფიებს გლეხები უვარდებათ ხელში; ესენი არიან მუდამ მათი მსხვერპლნი.

*** ამას წინად „ივერიაში“ იყო, რომ მცხეთაში დედათ-მონასტრის ეკკლესია გატეხესო. ამ საქმის გამო აი რა გვიამბეს: „ქურდებს გალავანზე კიბე მიუდგამთ და გადასულან; ასულან ბანზე და ისე გამოულიათ ეკკლესიის ფანჯარა ჩარჩოთი, რომ მინაც კი არ გაუტეხიათ; აქედამ თოკით ჩასულან თვით საყდარში. ქურდები შინაურები იყვნენო; ეს იქიდამა სჩანსო, რომ სად რა ნივთი იყო შენახული, სცოდნიათ; უცხო კაცი იმ ნივთებს ვერ მიაგნებდაო; წაუღიათ შემდეგი ნივთები: სებისკვრის თეფში ვერცხლისა, რომელიც საწიგნობელის ყუთში დებულა, წიგნების ქვეშ; სალარო გაუღიათ, ამოულიათ ძვირფასი, ძველ-ძველი ხელთ-ნაწერი სახარება, შეწირული ქართველთ მეფეებისაგან; სახარება ძვირფასს ყდაში ყოფილა ჩასმული; ყდა შემკული იყო ძვირფასისავე თვალ-მარგალიტითა; რამდენიმე ასის თუმნის ღირებული იყოვო; დანარჩენი ნივთები სალარესი ხელუხლებელი დაუტოვებიათ; პირიმღვთის ხატიდამ ამოუჭრიათ მარჯვენა მხრიდამ ნაწილები; თვით ხატი, რომელიც ძვირფასის თვლებით არის შემკულიო, ხელ-უხლებელი დაუტოვებიათ. ერთის სიტყვით, ძვირფასის ხატებისათვის ხელი არ უხლიათ; მხოლოდ ოქროს და ვერცხლის ნივთები წაუღიათ; სხვათა ნივთთა შორის შესანიშნავი იყოვო ბარძიმ-ფეშხუმიცა, რომელიც ქართველთა ბატონიშვილებს შემოუწირავთ რუსეთიდამ. ქურდებს სანთელი ჰნთებიათ ზარბაზანში, რომელიც საყდარში სდევსო, რომ სინათლე არ გასულიყო გარედა; შიგნიდამ ჩაკეტილი კარები გაუღიათ და ისე გამოსულან; მონასტერში ძალიან ავი ძაღლები ჰყოლიათ, მაგრამ ქურდებს რაღაც წამალი უჭმევიათ პირუტყვებისათვის და მკვდრებივით ჰყრილან ორ-სამ დღესა.

*** ქართლიდამ გვწერენ, რომ სოფელს რუისში კარგა ხანია სასოფლო სკოლა არსებობსო. ამ სკოლაში ბლომად არიან, როგორც ვაჟები, ისე ქალები. ამ ბოლოს დროს სკოლაში უნდა მოეწვიათ ქალი - მასწავლებელი, რომლის ვალი იქმნებოდა ხელსაქმე ესწავლებინა მოსწავლე ქალებისათვის, მაგრამ ერთი დაბრკოლება აღმოჩნდა—ფული არა ჰქონდა ამისათვის სკოლასაო. სკოლის მმართველთ მიჰმართეს სახალხო სკოლების დირექტორს, რომელიც ამ საგნისათვის წელიწადში ათს თუმანს დაჰპირდა სკოლასა. საჭირო იყო ხუთიოდე თუმანი კიდევ წელიწადში, რომ ეს სასარგებლო საქმე არსებაში მოსულიყო. სკოლის მმართველთ გამოუცხადეს რუისის გამსესხებელ-შემნახველს ამხანაგობას, რომ წლევანდელი მოგება—ხუთი თუმანი შეეწირათ სკოლისათვის. კრებამ კენჭი უყარა ამ საგანს და 69 კენჭიდამ, 50 თეთრი კენჭი ამოვიდა. ამ სახით გადასწყდა ეს საქმე, მაგრამ სამწუხაროდ აღმოჩნდნენ ისეთნი უკუღმართნი, რომელთაც წინააღმდეგობა დაიწყეს და გლეხებს აგონებდნენ, რომ თუ მაგ საქმეს არ მოშლით და მასწავლებელს-ქალს ინდომებთ, შემდეგში იმის ჯამაგირიც თქვენ დაგაწვებათო. დღესაც დადიან ეს უკუღმართნი სოფელში და ხალხს გულს უცრუებენ სკოლაზე და არ ვიცით, საქმე როგორ გათავდებაო.

*** ახალციხიდამ გვწერენ: არა გვგონია თუ სხვაგან სადმე საქართველოში აღმოუჩენდნენ თავის თანამოძმეთ ისეთს თანაგრძნობას, გულშემატკივრობას და დახმარებას, როგორც ახალციხელებმა აღმოუჩინეს ცეცხლისაგან დაზარალებულთა. რა ღონის-ძიება არ იხმარეს მათ სანუგეშოდ და სასარგებლოდ: წარმოდგენები გაჰმართეს, ცოცხალი სურათები დასდგეს და დასასრულ ხელის-მოწერაც გაჰმართეს.

გულითადს მადლობას უძღვნის ახალციხის საზოგადოება იმათ, ვინც ყველა ამ სასარგებლო საქმეებში მოთაოსნობა იკისრა. არ შეგვიძლია აგრეთვე მადლობა არ გადუხადოთ ყველა იმათ, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს წარმოდგენებში, თუ სხვა კეთილ საქმეში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

*** იქიდგანვე გვწერენ: დღეს აქამომდე ახალციხეში ქართული გალობა მგალობელთა გუნდისა არ გაგვიგონია, ახლა-კი ამ მოკლე ხანში, აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ბ-ნ გ. ჯინჭველაძის ლოტბარობით, შესდგა ხორო აქაურ სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეთაგან. ამ ხოროში მონაწილეობას იღებენ ბბ. გიორგი ზაალიშვილი, რომელმაც საკმაოდ კარგად იცის გალობა და სოლომონ ახ—ძე. ეს ხორო გალობს კარბელაანთ კილოთი, რომელიც ნოტებზეა გადაღებული ბ-ნ ბენაშვილის. ამ გალობამ ცოტა არ იყოს ბევრი ხალხი მოიზიდა საყდარში. ხალხი ძალიან მოხარულია, რომ ასეთს გალობას ისმენს და დიდს მადლობას უძღვნის ლოტბარს გ. ჯინჭველაძეს და სხვა მის დამხმარებელთ.

*** აი ერთი სასიამოვნო ამბავიც იქიდამვე: აქამდის ახალციხეში არა ყოფილა არც ერთი ქართული წიგნი გასასყიდად, დღეს-კირაბათში მცხოვრებელს ალექსი სადარიძის მაღაზიაში ისყიდება თითქმის ყველა ქართული წიგნები. ემადლობთ ჩარკვიანს, რომელმაც ყველა ქართული წიგნი, რომელიც-კი იმის მაღაზიაში მოიპოვება, გვანდო ნისიად. არ იქმნება ურიგო, ყველა წიგნის მბეჭდველებმა გამოუგზავნონ თვისი წიგნები გასასყიდად

## სამოც და თხუთმეტი წელი უხუცესის პოეტისა

ამაღდგომის სასიხარულო დღეს ქართველთა გვაქვს ერთი სხვა სიხარულიც. აპრილის ხუთს 1812 წელს დაიბადა ჩვენის დროის უხუცესი პოეტი ვახტანგ, მე ვახტანგ ორბელიანისა და ნეტარ ხსენებულის მეფის ერეკლე მეორის ასულის, ბატონიშვილის თეკლესი. სასიხარულოა რომ ვამბობთ, იმიტომ ვამბობთ, რომ ვასწრებით მართლა მისალოცველს დღესასწაულს სამოცდა თხუთმეტის წლის პოეტისას, რომელიც იქნება თავის გულში წლოვანობის ტვირთს უჩიოდეს, მაგრამ ნამდვილად ჩვენთვის კი ისეთის პოეზიით იყოს მისი სული დაუჭკნობელი და ძლიერი, როგორც ჭაბუკისა.

პოეზია გაუქრობელი ლამპარია ყოველის ერისათვის. მისი შუქი—გულთა განმანათლებელი და სიცოცხლის მომნიჭებელი, იქნება ზოგჯერ ნელის მშვიდის სხივით გვაჩვენოს, ზოგჯერ მოკაშკაშე—მოჭახჭახედ, ზოგჯერ მღიმარედ და ზოგჯერ დაღვრემილად, მაგრამ სხივი ამ ლამპრისა ისევ სხივია, გულის სიბნელის განმანათლებელი და სულის განმამხნევებელი.

ბედნიერია, ვისაც ეს ციური, ღვთაებრივი ნიჭი რგებია წილად ჩვენდა სანუგეშოდ, ჩვენდა განსაახლებლად და გასამხნევებლად; ნეტავი იმ ქვეყანას, რომელსაც არ მოჰკლებია ეს ზეციური სხივი; ბედნიერებასთან ახლოა ის დრო, როდესაც ამ სხივის მომფენი ძალა არ შესუსტებულა! პოეზია თვით სიცოცხლეა. პოეზიის სიცოცხლე თვით სიცოცხლის სიცოცხლეა; პოეზიის სიკვდილი სიცოცხლის სიკვდილია. ტყუილად კი არა სწამს უხუცესს პოეტს (როგორც ერთხელ მუსაიფში უთქვამს): საქართველო და ქართველობა თუ დარჩა, შოთა რუსთველის პოეზიის ძლიერებით დარჩაო.

ყოველ ხალხში პოეზიის განმაცხოველებელი ძალა ასე ყოფილა და იქნება დაფასებული და ამიტომაც ყოველი ერი შეჰხარის თავის პოეტებს, თავის პოეზიას.

ვახტანგ ორბელიანის ქნარის ხმა ჩვენში იმდენად არის ცნობილი, როგორც გრიგოლ ორბელიანისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და სხვათა წარსულთა და აწმყო დროის მწერალთა. მისი ლექსები არც ერთს ქართულს ჟურნალ-გაზეთს არ მოჰკლებია, უიმისოდ ვერც ერთს საყმაწვილო ქრესტომატიას ვერა ვხედავთ, უიმისოდ ვერც სალიტერატურო და სასცენო კითხვა ხერხდება. ამისთანა საყვარელის ხმების მალით არის მდიდარი ვახტანგ ორბელიანის ჩანგი, ამისთანა სურათების გამომხატველია!

ვახტანგ ორბელიანს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჩვენს მწერლობაში და ერთის ჩვენის დროის პოეტის, ილია ჭავჭავაძის, აზრით მართლა ერთად ერთი წარმომადგენელია რომანტიულის სკოლის პოეზიისა. სწორედ ასეა და კარგი ოსტატიც არის ამ საგანში. როგორც ხელოვანი მხატვარი გადასწევს ფარდას და თვალ წინ გიხატავსთ სურათს, რომლის მსგავსი იქნება ბევრი განგეხილოსთ, მაგრამ თვალ ამხელსავით ვერ გაგერჩიოსთ; ახლა კი ამ სურათს ისეთის სიცოცხლით, ისეთის დიდებულის სხივით გაგინათლებსთ, რომ უსულო ქვა-შენობაც კი ხმას იღებს და გელაპარაკებათ გასაგების ენით, ვარსკვლავები გეღიმებიან, მთა ჰკვნესის, ტყე და წყლები გეჩურჩულებიან, ქარი ფშვინავს; სურათი დაგიხატათ თვალწინ, მაგრამ მას ერთობს პოეტის გულის სიმების ხმაცა, რომელიც ხან მწუხარე, ხან მხიარული; ხან უიმედო, ხან იმედიანი და დიდებით—სადღესასწაულო. აქ გეხატება ნინო წმინდის (ჯვარი ვაზისა) დიდებული სახე, მომფენი სიცოცხლისა და ქვეყნის აღყვავებისა, იქ „დედოფალი“ გამბედნიერებელი

---

ცხოვრების დასაცველად გამზადებულთა. „არ გვინდა „იგივეობა“ ცხოვრებისა თქვენთანაო: შევდგომილვართ ქრისტესა, შეგვყვარებია სხვა წესი, სხვა ცხოვრება, გვიპყრია სხვა ქვეყანა და ვერ ვუღალატებთ ჩვენს სარწმუნსაო.“

რაც უფრო მეტი ხალხი იხოცებოდა და სწყდებოდა სარწმუნოებისა და მამულის დაცვისათვის, მით უფრო მტკიცედ ადგა თავის სარწმუნოების გზას ეს პატარა ქვეყანა და დიდი სავანე გმირთა.

ბევრი ერი ვერ მოიწონებსთავს იმ სულის სიმტკიცითა, რომელიც საქართველომ გამოიჩინა; ბევრი არ არის დედა-მიწის ზურგზე ისეთი ერი, რომელსაც ჰყვანდეს იმდენი თავდადებულნი და წამებულნი ქრისტიანობისათვის, რამდენიც ჰყავდა ქვეყანას. თუ იოანე გუსი აღვიდა კოცონზე და სამღვთო საგალობელს გალობდა იმ დროს, როცა ცეცხლი კოცონისა აღეგზნო და ლალადება მისი არ დასცხრა, ვიდრე ბოლმა არ დაუხშო ხმა; საქართველოში რამდენი იყო ისეთი, რომელიც ღვთიურის ნეტარებითა და ღიმილით მიჰგებებია სიკვდილს. სიმტკიცე სულისა, ძლიერება რწმენისა და თავდადებისათვის მზად ყოფა იმ აღტაცებამდე იყო მიღწეული, როცა ხორცი არასა ჰგრძნობს ათას გვარის წამებისას. ასნი და ორასნი, მახვილ-შემოურტყმელნი, რომელნიც თავიანთის ნებით და საკვირველის სულის სიმშვიდით ამოეწყვიტნენ მტერსა ქვაბთა-ხევსა და გარესჯის მონასტერში, ამისი უტყუარი საბუთია. „არა რაიმე დაჰრანი ასოთანი და დაქოლვანი, მით რომელ ტრფიალებამან მოიყვანა უგრძნობლობად, ხოლო გონებანი მათნი თუ სადამე ყოველნი კლდენი ზედ შეიმუსრნემცა, ვერ შესძრენ სიმტკიცისაგან ქრისტეს მიმართისა.“

მოკვდა ხორცი და მით აღსდგა სული: სიკვდილმა ჰშვა სიცოცხლე. ღმერთო, ვინ მისწვდეს შენგან ქმნილს.

მის ფერ უთვალავ შვენებას
სიბნელეს აქრობ ნათელით
სიკვდილით ჰბადავ ცხოვრებას...

***

შუა-ღამეა. სიბნელესა და წყვდიადს მოუცავს არე-მარე. ამ წყვდიადში მდევივითა წევს დიდი გორა, რომელსაც გარშემო პატარ-პატარა სერები და ბორცვები არტყია. მოშორებით მოჩანს ტრიალი მინდორი. ალაგ-ალაგ ამ მინდორს ნისლი დასწოლია და სავანესავით გადაჰფარებია. მინდორს შორს, ცის დასავალს მდინარე ჩაუდის და ამ ღამის სიწყვდიადეში ერთ-კილოვანებით ბუტბუტებს და ხმაურობს. აი შეთხელდა სიბნელეც. გორის წვერზედ გამოჩნდა სხვა-და-სხვა შენობის სახე. მოსჩანს სავანე და სენაკებიცა. ეს უდაბნოა გარესჯისა. აქ იმყოფებიან ბერნი და მონოზონნი, რომელნიც განშორებიან ამ წუთი-სოფელს და ქვეყანას ავედრებენ ღმერთსა.

აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთის სოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰლირსებიან მართალთა-თანა
სავანესა მას საუკუნოსა.

„აქ მიიმადლეს შინაგან ყოფაი, ცნობაი და ამით ნათელ-ქმნილნი, სხვათაცა განათლებად შემძლებელ იქმნენ.“

მთელი უდაბნო დიდს მზადებასა და მოძრაობაშია. განდეგილ ძმათა კრებული მოელის ქრისტეს აღდგომას. როგორც ყველგან საქართველოში, ისე აქ, ამ უდაბნოშიაც სიხარულია განუსაზღვრელი. თუ დაბალ და სოფლად სიხარულით ჰფეთქს გული ყმაწვილისა და ბერის ერის კაცისა, აქ ამ უდაბნოშიაც არა ნაკლების სიხარულით ელევა გული კრებულსა. სხვა დროს ვერ შეამჩნევდით მოუთმენლობას, რაიმე გულის თქმასა, მაგრამ ამ ბნელს ღამეში-კი ეს გულ-დამშვიდებულნი, გულ-აუმღვრეველნი მოსავენი კაცთ-მოყვარე ღმერთისა წარმოადგენენ ერთს სულს, სარწმუნოების ფრთით შესხმულსა და ამათაც-კი ძგერა გულისა ეუბნებოდა, რომ მოდის დიდი დღე მკვდრეთით აღდგომისა და ლოცვით და მარხვით განწმენდილნი ელოდებოდნენ ლიტანიას ქებისას და დიდებისას.

აი მოვიდა ლიტანიის დროც. დაირეკა წყნარად ზარი და მისი კამკამი ხმა წკრიალით გაისმოდა ჰაერში და სიხარულის ცრემლსავით სწვდებოდა უსიხარულო გულს ბერ-მონაზონბისას. ურიცხვის სენაკებიდამ გამოვიდნენ შავად მოსილნი განდეგილნი. აი ერთი მათგანი შეუდგა დიდის გორის ბილიკს. აგერ სხვა ბორცვებიდამაც მოდიან დიდის სერისაკენ. მოდიან ყველა მხრიდამ, მოდიან ყველა სენაკიდამ დიდს სერისაკენ, საცა ტაძარია, აღდგომის სახელზე აგებული. აი შეგროვდა ძმათა კრებულიც. „ჩვეულება იყო ზოგად ცხოვრებელთა ყოველთა მონასტერთა-შორის გარესჯისათა ვითარმედ აღასრულიან-რა ორმოცი დღენი წმინდისა მარხვისანი, აღდგომასა ეკკლესიასა შინა შეკრბენ და ღამე იგი ყოველი ესე ვითარის ღამის თევითა განათევინ, ხოლო აღასრულინ-რა ლოცვა ცისკრისა, იმღვდელ-მოქმედიან მღვდელთა განწმენდილთა სამღვთოჲ ლიტურღიაჲ და ყოველი იგი კრებული მამათა ცხოველს-მყოფელსა საიდუმლოსა ეზიარნიან და ესრედ მმადლობელნი ღვთისანი თვისთა მონასტერთა წარვიდიან.“

ჰაერი გაცივდა და ცა გაცრიაგდა, თუმცა სიბნელე-კი ისევ ხშირია. წინამძღვარი და თანა-მწირველნი შეიმოსნენ შესამოსელით, აღიპყრეს ჯვარი ქრისტესი და სიხარულით ღაღად-ჰყვეს:

ერისა; აქეთკენ აოხრება დმანისისა, იქითკენ სიმტკიცე-დიდებულება გელათისა; „იმედში“ ცრემლი მოკლულის გულისა და ღიმილი განახლებულის იმედისა. თუ წარსულის დროის დიდებულს სურათს პოეტი გვისახავს მწუხარების ფერადითა, ეს იმას არა ნიშნავს, რომ მომავალის იმედიანი სიხარული არა სწამდეს. არა, ეს ჩვეულებრივი ჭანგია რომანტიულის მწერლებისა, რომლის წარმომადგენელი არის დიდი ბაირონი და რომელსაც ვერ ასცდა თვით სახელოვანი ჩვენის დროის ვიქტორ ჰიუგო. ამასთან უეჭველია, რომ ეს ჭანგი ჩვენის გულის სიმებს ეთანხმება და უხდება.

ეს ფერი პოეზიისა აიხსნება თვით უხუცესის პოეტის დროთი. იგი იყო მოწამე იმ გულის ტკივილისა, რომელიც გამოიარეს მისთა ახლო მყოფთა და მრთელმა ჩვენმა ერმა, ქვეყნის დარღვევის და დაქცევის დროს აღა-მაჰმად-ხანისაგან; იგივე მოესწრო ჩვენს დროს, როდესაც ევროპიულის განათლების და მოქალაქობრიობის და რომელიც ესმის პოეტს მშვენიერის ქალის პირით (ლექსი „იმედი“):

თქვენი სამშობლო დანგრეული კვლავ აღუვავდება.

ამ გვარია პოეზია ვახტანგ ორბელიანისა, შემაერთებელი ძველისა და ახლის პოეზიისა და დროებისა. ეჭვი არ არის, რომ მის პოეზიაზე ზედ-მოქმედება იქონია მასმა კერძო ცხოვრებამ, რომელიც ვარდით და ყვავილებით არა ყოფილა მოფენილი.

ცხოვრება შრომითა და ზრუნვით სავსე, ცხოვრება ეკლიანს გზაზედ მავალი ბევრჯელ წვრილმანობაში იხარჯება და ქარწყდება. თვით დღევანდელი დღე ბევრს უნუგეშო მოვლინებას გვაჩვენებს: ჩვენში ბევრნი არიან სწავლით შეჭურვილნი, ახალგაზდანი ღონითა და გონებით, რომელნიც კერძო ცხოვრებაში დღიურად რამდენადმე დაკმაყოფილებულნი არიან; ვხედავთ მათ სრულიად გამოურკვებულად მცხოვრებთა, თითქოს არაფერი სულიერი ინტერესი არც ცხოვრებისა, არც მწერლობისა მათ არა ჰქონდესთ როდესაც ვადარებთ ამასთან კაცებს მოხუცებულ მოღვაწეთა, არ შეიძლება მართლა არ იწუხო ერთისთვის და არ გაიხარო მეორისათვის. შედარება უნებლიედ მოგდის, გაფიქრებს, გაწუხებს. მაგრამ ეს შედარება იმედსაც გაძლევს, რომ მოხუცთა ღვაწლი, პოეზიის სხივით მოსილი, ამაოდ არ ჩაივლის, ცოცხალ მაგალითად იმუშავებს ჩვენს ცხოვრებაში, გაამხნევებს სულით სუსტთა, ჩაუნერგავს კეთილის სიყვარულსა, გაუთბობს გულსა და ქვეყანას მუშაკს მოუპოვებს მის ნიჭთა ასაყვავებლად, მის ბედნიერების მოსაახლოვებლად და წარმატებაში შესაყვანად. ამ გვარი მოღვაწე ყოველთვის და ყოველს ხალხში პოეტი. ამ გვარი მუშაკი და მოღვაწე დღეს უხუცესი ჩვენი პოეტიცა.

ჩვენთან, ვგონებთ, დღეს ყოველი ქართველი სულითა და გულით მიულოცავს ჩვენს პოეტს ბრწყინვალე დღესასწაულთან მის სამოც და თხუთმეტის წლის შესრულებასაც. ამ მილოცვაში აგრეთვე ჩვენს თავსაც არ დავივიწყებთ, და გულის დამატკბობელ მის ჩანგის ჟღერას ჩვენთვის კვლავაც ვინატრებთ, კვლავაც ვისურვებთ.

ვ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

კავკავი, მარტის 20-სა. უკაცრავად ვარ მკითხველთან, რომ უფრო ხშირად უსიამოვნო ამბებს ვატყობინებ, მაგრამ რა ვქნა, ნუ დამემდურებიან. ბარემ ჩვენც მონატრულნი ვართ, რომ ყოველთვის სასიხარულო ამბები გვესმოდეს და ვასმენდეთ მკითხველთაც, მაგრამ ასეთი ამბავი არსად არის. ამ მარტის 10-ს, ღამე, სოფ. შანაევში მცხოვრებელი სამი ოსი ტყიდგან მოდიოდნენ და შეშა მოჰქონდათ. სოფელს რომ მოახლოვდნენ, დახვდნენ ქურდები. ქურდებმა მოინდომეს ოსებისათვის ხარების წართმევა, მაგრამ ოსები, თუმცა იარაღი არა ჰქონდათრა, მაინც ნებას არ აძლევდნენ ქურდებს ხარები წაესხათ. ამ დროს ერთი ქურდი მიეპარა ერთს ოსს, დასცა მხარში დამბაჩა და მიამტვრია მხარი. გამწარებულმა ოსმა დაიყვირა, მიშველეთ, მომკლესო; ყვირილზედ მოეშველა ერთი თავისი ამხანაგი ოსი, გაჰქანდა, შეახტა ქურდს ცხენზედ, გადმოაგდო ცხენიდგან და დააჯდა ზევიდგან. ქურდმა დაუყვირა ამხანაგს, მიშველე, დამიჭირესო, ქურდსაც ამხანაგი მოეშველა, ამოიღო ხანჯალი, დასცა საბრალო მეორე ოსსაც ზურგში და გულში გაახედა ხანჯლის წვერი. ხანჯლით დაჭრილი იმ საათში იქვე მოკვდა და დამბაჩა დარტყმულიც იქვე დაეცა. მესამე ოსი გაიქცა საჩქაროდ და სოფელს შეატყობინა; სოფლიდგან მდევარი გამოუდგა ქურდებს და სანამ ქურდებმა კაცი მოჰკლეს, მივიდნენ იმ ადგილს და იპოვნეს შუაზედ გადამტვრეული ხანჯალი, დამბაჩა და ქუდი, რომელიც დარჩომოდათ ქურდებს. მდევარმა წაიღო დამბაჩა, გატეხილი ხანჯალი, ქუდი და მიჰყვნენ ქურდების კვალს. კვალი მიიტანეს სოფ. ალიყუში (ქიშტების სოფელია). ალიყუშიაც მთელი სოფელი გამოვიდა, ჰნახეს ქუდი, დამბაჩა და ხანჯალი და მაშინვე იცნეს, ვისიც იყო... მეორე დღეს ალიყუელები შეიყარნენ დიდით პატარამდე, მოილაპარაკეს ერთმანეთში და დაასახელეს ხუთი კაცი, რომელზედაც ეჭვი ჰქონდა სოფელს. ამ ხუთს კაცს შეუდგინეს განაჩენი. ალიყუელების აზრით უნდა გადასახლებულიყვნენ ეს ხუთი კაცი სოფლიდგან, რადგანაც იმათ გამო სოფელს ბევრი ზარალი და შეწუხება ჰქონდა; მაგრამ განაჩენის შედგენამ ძრიელ სამწუხაროდ ჩაუარა ალიყუელებს. განაჩენში მოხსენებულმა ხუთმა კაცმა დაინახა შეგროვილი სოფელი და რაკი გაიგეს ხალხი ჩვენზედ ადგენს განაჩენს, ჩვენი დაკარგვა უნდაო, ადგნენ ხუთივენი, გაიფიცნენ: ერთმანერთს ნუ უღალატებთო... და იძრეს ხანჯლები. ამოღებულის ხანჯლებით შეცვივდნენ ხუთივე შეგროვილს ხალხში და, ვისაც მოხვდნენ, აღარ დაზოგეს (თვითონ ის ხუთნივეც დაიხოცნენ); ახლა მიჰყვეს ხელი ერთმანერთს ხალხმაც, გვარი გვარს მიეშველა და სულ ათის წამის განმავლობაში თორმეტი კაცი მოკვდა და ოც-და-ათი დაიჭრა; ამ ოც-და-ათშიაც რვა კაცი მეორე დღეს გარდაიცვალა და ერთს დედაკაცს მკლავი მოაგდებინეს, ორი ხუთის წლის ყმაწვილი მოჰკლეს და თუ დანარჩენი დაჭრილები როგორ იქნებიან, ღმერთმა უწყის... როგორც გავიგე, ბოქაული მისულიყო ხალხის დასამშვიდებლად, მაგრამ რადგანაც საშიში იყო იმ დროს აღელვებულს ქიშტებში შესვლა, ამიტომ მაშინვე დაეკრა ფეხი და უკანვე დაბრუნებულიყო.

ქართველი ოსეთში

## მღვდელი თეოდორე კველთელი.

### ერთი მაგალითი მეფისა და ქვეყნისათვის თავდადებისა.

აწ საფლავიცა არსად არს მათთვის,
ჰაერში განჰქრა მათი სახელი
და ჟამთ-მოწამე სადამე ძეგლი
არ გვიქადაგებს მათთა საქმეთა;
დუმილნი ჰფარვენ ერთგულთა ძეთა!
მაგრამ, ჰოი, გმირნო, ნუ შეშფოთდებით,
თქვენ სახსოვარი გაქვთ თვით განგებით;
რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების,
საშვილი-შვილოდ გარდაიცემის.

ნ. ბარათაშვილი

ერისა და მეფისთვის თავის განწირვა ისეთი იშვიათი და თან სამაგალითო რამ ღვაწლია, რომ კაცობრიობის ისტორიაში თითით ჩამოსათვლელია. ამ გვარ გმირთა შარავანდედით გარემოცული სახელები მთვარე-ვარსკვლავებრ ანათებენ და აცისკროვნებენ იმ ბნელს ცის კამარას, რომელიც ზედ გადაჭფარვია წყვდიადით მოცულს წარსულთა დროთა. ერი, კაცობრიობა დიდების ძეგლს უდგამს თავის გმირებს, კურთხევით იხსენიებს მათს სახელსა, მოდგმა მოდგმასა, საუკუნე საუკუნესა გარდასცემს იმათს ხსენებას და აი, ამისთვის არიან უკვდავნი ასეთნი გმირნი.

საქართველოსაც ბევრი ჰყოლია ამ გვარი გმირები. ჩვენმა ისტორიამ იცის არა ერთი სახელი ერისა და მეფისათვის თავ-განწირულთა. ერთი ამისთანა გმირი იყო მღვდელი თეოდორე კველთელიცა.

თეოდორე კველთელი სცხოვრობდა მე-XVII საუკუნეში ქართლის მეფის ლუარსაბის (1603—1616) და კახეთის მეფის თეიმურაზ პირველის დროს. ამ ხანებში საქართველო ებრძოდა თავისუფლების დასაცველად ორს იმ დროინდელ უძლიერესს მტერს: ოსმალებს და სპარსელებს. ოსმალეთის ხონთქრად იყო სახელ-განთქმული აჰმად; სპარსეთის ტახტზე იჯდა მძლავრი და ცბიერი შაჰ-აბბასი. ორივე უძლიერესნი მეფენი ერთმანერთს ეცილებოდნენ, თუ ვის უნდა დაეპყრო საქართველო. ქართველთა მეფეები იმ დროს არც ერთს მათგანს არ ემორჩილებოდნენ, ორივ სამეფოს ებრძოდნენ. როდესაც სპარსელები გაძლიერდებოდნენ, ოსმალეთს მიემხრობოდნენ ხოლმე სპარსელების წინააღმდეგ; როდესაც ოსმალნი სძლევდნენ, სპარსელებს ეხმარებოდნენ ხონთქრის წინააღმდეგ. მეფეს გიორგის და ლუარსაბის დროს ხონთქარი შაჰზე უფრო ძლიერი იყო და ამისთვის საქართველო შაჰ-აბბასთან უფრო განწყობილი ყოფილა. მაგრამ მე-XVII საუკუნის დამდეგს ცოტას გაწყდა საქართველო თათრებმა არ იგდეს ხელში და უსათუოდ დაიმორჩილებდნენ კიდეც, რომ ზემოხსენებულს თეოდორე კველთელს თავი არ შეეწირა მეფისა და ქვეყნისათვის. აი როგორ მოხდა ეს:

1609 წელს დიდებული ხონთქარი (აჰმადი) გაემგზავრა შაჰ-აბასს, დაამარცხა შაჰი, წაართვა დიდი ქალაქი შუა-მდინარის (მესოპოტამიისა), ბაღდადი და დაიჭირა მთელი ის მხარე. ძლევა-მოსილი ხონთქარი იქიდამ მოჰბრუნდა ქართლს, რადგან ქართლელები იმ დროს შაჰ-აბასთან უფრო განწყობილნი იყვნენ და მოინდომა უეცრად, მოულოდნელად თავზე დასხმით დაეპყრო საქართველოცა. მეფე ლუარსაბმა გვიან გაიგო ეს ამბავი, დიდ-ძალის ჯარის შეკრება ვერ მოასწრო. მცირე მხედრობა მსწრაფლვე გაგზავნა, რომ გზები შეეკრათ თათრებისათვის და შეეხერხებინათ რამდენსამე ხანს ხონთქრის ჯარი; თვით მეფე კი დადგა მოშორებით, სოფელს ცხირეთს; აქ ჯარებს იკრებდა და ემზადებოდა საომრად ხონთქართან. მაგრამ თათრებმა ხერხი იხმარეს: ჩუმად, შეუნიშნველად გაიარეს დიდი მანძილი და ბნელს ღამეში, როდესაც მოწინავე გზის მცველს ჯარს ეძინა, თავს დაესხნენ ქართველებს და სრულიად ამოსწყვიტეს მხედრობა, ისე, რომ ერთი კაციც ვერ გადაურჩათ. მეფესთან ამბის მომტანი არავინ იყო, რომ თავისათვის ეშველა რამე. რასაკვირველია, მეფემაც არა იცოდა-რა ამ უბედურებისა და მოსვენებით ბრძანდებოდა ცხირეთში. თათრებსაც ეს უნდოდათ: იმ ღამესვე უეცრად მოიცვეს არე-მარე, მანგლისი და კველთა აიღეს და უნდოდათ გათენებამდის ჩუმად მეფესაც თავს დასხმოდნენ, შეეპყრათ იგი და დაეჭირათ ქართლი; ამის გამო თათრები ცოცხალს არავის უშვებდნენ. რადგან ცხირეთი კველთთან ახლოა, თათრები ადვილად აისრულებდნენ თავიანთს გულის წადილს, და თუ მეფეს ხელთ იგდებდნენ, მაშინ ხომ ქართლის დაჭერა სულ ადვილი იქნებოდა, მით უმეტესს, რომ მეფესთან ამოსწყვეტდნენ ყველა უწარჩინებულეს მის მეომართა, რომელნიც მას თან ახლდნენ. მაგრამ, მეფის ბედზედ, თათრებმა არ იცოდნენ, სად განისვენებდა მეფე. ამისთვის, როდესაც

---

— „ქრისტე აღსდგა!“

— „ქრისტე აღსდგა, ქრისტე აღსდგა!“ მისცა საერთო ბანი ძმათა-კრებულმა და სადღესასწაულო ხმამ ურიცხვის კრებულისამ შეაზრიალა ჰაერი ეკლესიისა და სიხარულით აავსო ურიცხვის სანთლებით გაბრწყინვებული კედლები გარესჯის მონასტრისა. აი გამოუძღვა წინ კრებულს წინამძღვარი ჯვარითა და სანთლით ხელში და გამოჰყვა მას ეკლესიის გარედ კრებულიცა და ყველამ ერთად მორთეს დიდი საგალობელი: „ქრისტე აღსდგა მკდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მომნიჭებელი“. დაიწყო ლიტანია, ურიცხვმა სანთლებმა გაანათა გარემო და თვით ბუნებამაც გაჰყარა ბნელი ნათელსა.

* * *

მტერი სწორედ ამას ელოდა, რომ ერთად მოესწრო და ერთბამად აესრულებინა თავისი გულის წადილი. ახლო-მახლო იყო არა-ქრისტიანეთა ურდო დაბანაკებული და, რაკი შენიშნა სინათლე სერზე, გაემართა იქითკენ, რაზმ-რაზმად დაწყობილი. „დამწყებელთა ლოცვისა ცისკრისათა იწყეს ლიტანიობად გარემო ეკლესიასა სიმრავლემან წმინდათა მამათამან და ხელთა შინა მათთა სანთელნი აღნთებულნი, და იხილეს შორის მდგომარეთა, დამალულთა მათ ბარბაროსთა სანთელთა მიერ კრებული იგი სამღრთოი, წარვიდეს მათ ზედა.“ ცოტა ხანიც და მტერი გარს შემოადგა გარესჯის უდაბნოს ეკლესიას.

— ანუ დაუტევეთ ქრისტე,—რისხვით შესძახა მტერმა მამათა და ძმათა კრებულს,—და მოსულნი სჯულის-დებისა მომართ მოციქულისა ჩვენისა დაემკვიდრენით ჩვენთანა და ზავი ძმობითი, ერთობაი და იგივეობაი ცხოვრებისა გვაქონდინ ჩვენთანა და უკეთუ არა ისმინოთ ჩვენი, აჰა მახვილნი აღმოხდილნი ხელთა შინა ჩვენთა, რომლითა აღისპნეთ, თვინიერ ერთისაცა თქვენგანისა განრომითა ცოცხალ-ადრე.

რას იქმოდა კრებული ამ სადღესასწაულო დღეს, როდესაც ერის კაცის გულიც-კი სიყვარულით არის მხოლოდ აღსავსე და შენდობასა და მიტევებას ღაღადებს მისი ბაგენი? რას იზამდა ძმათა-კრებული მტერთა საპირის-პიროდ აღდგომა დღეს, დღესა უფლისასა, როცა მცირე ღელვაც-კი გულისა არ შეჰშვენის სადღესასწაულო უქმესა, რომელსაც ეწოდება დრო შეწყნარებისა?

— ჩვენ სჯულის-დებათა ცრუისა მის მოციქულისა თქვენისათაო,—მიუგო ბარბაროსთა მამამან პირველისა მის მონასტრისამან,—არა შევიწყნარებთ და არცა დაუტევებთ მეუფესა და უფალსა ქრისტესა, რომლის სახელისათვის განსრულნი სოფლისაგან, უდაბნოთა ამათ ადგილთა-შორის დავემკვიდრენით.

და კვლავ რქვეს სხვათა მამათა:

— ჩვენთა მახვილი და სიკვდილი არარა, ამისთვის ვითარმედ ესენი ხორცთა ზედა ცხოველთა შეხებად ძნელ-არიან და ჩვენ მიერით ოდეს იგი ჯვარისა ამღებელნი განვედით, ქრისტე ჩვენისათან ჯვარ-ცმად სოფლისაგან მომკვდარ არიან ნებსით ჩვენით ხორცნი ჩვენი, ჩვენდა დიდ სიხარულ სიკვდილი, რომ დასცხრნენ დახსნილნი ესე და უძლურნი ხორცნი და გულმოდგინემან სულმან ჩვენმან მიიღოს განსვენებაი ხელთა შინა მამისა ღვთისათა და ზიარებაი ქრისტეს ღვთისა ჩვენისათანა.

„გარნა გევედრებით ყოველნი ესე ჰოი, ბარბაროსნო,—განაგრძეს წმ. მამათა,—დაღათუ გსურსთ ფრიად საკვდილნი ჩვენი და სიმდიდრენი მონასტერთა ჩვენთანი წარღებად, მაგრა უწყოდეთ ესე, არა არს ჩვენ შორის კაცი, არცა ერთი მორტყმული საჭურველითა და განმხნობილი ბრძოლად, რათა წინა აღგიდგეს თქვენ.

„ჩვენ შეკრებილნი ესე დღესასწაულსა ამას პასექისასა დღესასწაულობად და ჭამად პასექისა უკვდავისა ყოველნი მოვირტყამთ წელთა სულთა ჩვენთა გულს მოდგინებასა და ხელთა შინა აღვიღებთ კვერთხსა სარწმუნოებისასა ქრისტეს მიმართ, რომლითაც გვმოსიეს ფერხთა განმზადებულებაი სახარებისა მის მშვიდობისა.

„გვაცადეთ მოწლეობითა მით კაცობრივითა, რათა ვსჭამოთ უკვდავი ესე და უხრწნელი პასექი, რომელ არს ხორცი ჩვენთვის ჯვარს ზედა ნებსით დაკლულისა, ტარიგისა უბიწოისა და უმანკოისა ქრისტესი და ესრედ ნებსით ჩვენით მოგცნეთ თავნი ჩვენნი ხელთა თქვენთა და მისთანა შევსწირეთ ჩვენთვის მამისად შეწირულისა. იპყრენით უკვე კარნი ამის ეკლესიისანი ძლიერად, რათა არავინ ჩვენგანი განვიდეს. არავინ შემწედ ჩვენდა, რათა მათ ძალით გაქცნდესმცა სასოებაი ხელთაგან თქვენთა განრომისა, ყოველნივე ვართ ნებსა შინა თქვენსა მოცემულ ნებსით, რომელ შემდგომად დასრულებისა საღმრთოისა ლიტურღიისა, რაიცა გნებავსთ, ჰყავით.“

ბარბაროსებმა შეიწყნარეს უკანასკნელი თხოვნა ბერ-მონაზონთა. რაკი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ წინააღმდეგობას არ გაგვიწევენო და ამ შუა-ღამისას ვერც არავინ მოეშველება ამათაო, უცდიდნენ შეჭურვილნი ეკლესიის გარედ. და აი როცა დასრულდა წირვა, კრებულმა მიიღო წმინდა ზიარება და დაიწყეს მილოცვა ერთმანერთისა და ამბორება, ბარბაროსნი შეცვივდნენ ეკლესიაში და შეიქმნა უწყალოდ ჟლეტა უიარაღო მღვდელ-მონაზონთა. „მრავალნი მათგანი მოსწყვიდნეს შინაგან წმინდისა ეკლესიისა, რომელნიმე წმინდათასა ეკლესიისასა შინა საკურთხეველსა და რომელნიმე დაჰკლეს თვით წმინდასა ზედა ტრაპეზსა უწყალოდ.“

ასე დაიხოცნენ ხორცით და აღსდგნენ სულითა. ასეთი თავ-განწირვა ჯვარ-ცმულის ღვთისათვის ნუ თუ არ არის აღდგომა სულისა? თუ არ აღდგომილი სული, სხვა რა გაიმეტებდა ხორცს სიკვდილისათვის?!

მათ გვულთა აიღეს, იქ დაიჭირეს გვგულთელი მღვდელი თეოდორე [1]) და ჰკითხავდნენ: სად არის მეფეო? მღვდელმა რომ არ გასცა მეფე, დაუწყეს ლახტით ცემა და მოკვლას ემუქრებოდნენ. „მაშინ მღვდელი იგი, — მოგვითხრობს მემატიანე, — იტყოდა: „არა ნაცვალ-ვყო საწუთო ესე წარუვალსა მას და არა ვიქმნე გამცემელი მეფისა და ქვეყნისა." თავის გულში გარდასწყვიტა მიეღო სიკვდილი ქვეყნისთვის და ამის გამო თანხმობა გამოუცხადა ოსმალებს: ოღონდ ნუ მომკლავთ, წამომყევით და მიგიყვანთ, სადაც არის მეფეო. ოსმალთ ჯარი გაჰყვა. მღვდელმა იმავ ღამეს წაიყვანა ჯარი სულ სხვა გზით: წარუძღვა გოსტიბის მთის წვერზე, იქიდამ ქვენადრის გზაზე ჩამოიყვანა ტყეში და ამ სახით გზა დაუბნია; ცხირეთი შორს დარჩა. ამასობაში გათენდა კიდეც. მაშინ ოსმალები მიჰხვდნენ მხოლოდ, რომ მღვდელი ატყუებდა და ამისთვის თავი მოჰკვეთეს მეფისათვისა და ქვეყნისათვის თავ-განწირულს კაცსა. „და შეირაცხა იგი წმიდათა თანაო", მოგვითხრობს მემატიანე, თუმცა-კი ჩვენ ეკკლესიას ეს ნეტარი და ღირსი მღვდელი წმინდანთა რიცხვში ჯერაც არ ჩაუწერია.

მოტყუებული თათრები გათენებისას კალიასავით მოედვნენ ქართლს, მოიცვეს ერთაწმინდა და ახალ-ქალაქი. მეფემ დაინახა ეს ცხირეთის მაღლობებიდგან და მაშინვე შეუდგა საომრად მზადებასა. მსწრაფლ გაგზავნა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და განთქმული მამაცობით ციციშვილი ზაზა, რომ ჯარი შეეყარათ. ალგეთის და ხრამის ხეობაში შეკრიბეს ჯარი და მეფესთან მოიყვანეს. თათრები დაებანაკნენ ქართლში ნიაბის ბოლოს და ამ ბანაკს მიჰმართა ქართველმა ჯარმა, რომელიც მოურავს ჰყვანდა ჩაბარებული. მივიდა მოურავი ბანაკთან და მკაცრად შეება თათრებსა; შეიქმნა ფიცხელი ომი. სახელოვანმა ზაზა ციციშვილმა აქ უფრო ისახელა თავი კაცობითა: ომში გალაღებული ზაზა მტრების ჯარებს შუაში ჩაეჭრა, ჯარის ერთის რაზმის უფროს ფაშამდე მიაღწია, დასცა მას ხმალი, მოჰკვეთა თავი და უნდოდა გამოეტანა და მეფისთვის მიერთმია. ამ დროს გარ-შემოერტყნენ მას მტრები. მაშინ ზაზამ იპყრა კბილით წვერი ფაშის მოჭრილის თავისა, შეჯდა ცხენზე, გააპო თათრის ჯარი და გამოვიდა, თავი მეფეს მოართვა და ისევ შევარდა ომში. თათრები ამოსწყვიტეს და გააქციეს. მტრის თავები და ნაალაფევი მეფეს მოართვეს.

ამ გვარად ომი მოიგეს ქართველთა. თათრის ჯარი სურამისკენ გაიქცა; ქართველთ ჯარი მცირე იყო და ამისთვის მეფე მტერს უკან აღარ დაედევნა. შემოიკრიბა სხვა ახალი ჯარი და მხოლოდ შემდეგ დაუწყო დევნა ოსმალთა. ამ დროით ისარგებლეს მტრებმა; ისევ შეიკრიბეს თავი და დაუწყეს რბევა-ტყვევნა ზემო-ქართლს (მტკვრის მარჯვენა მხრისას); იქიდან უეცრად ჩამოვიდნენ გორის ახრემარეს და, რადგან ქართველთა ჯარი გორზე შორს იყო, მიემართნენ გორის ასაღებად; მაგრამ გორი იხსნა ვიღაც გორელ ტერტერამ. ამან შენიშნა თათრის ჯარი დოესის მინდვრით გორზე მიმავალი; მაშინვე უკან დაბრუნდა და აუყრევინა გორის ხიდი. მტკვარი ადიდებული იყო და მტრები ვერ გავიდნენ; გორზე ხელი ვერ გაითბეს თათრებმა. მაშინ მტრებმა მოარბიეს სცოციანო და მივიდნენ ბრბონას, გადვეს ფიცრის ხიდი მტკვარზე, გავიდნენ ტაშის-კარზე და იქ დაებანაკნენ. მეფე-კი, მდევნელი მათი, მივიდა ახალ-დაბას; აქ ხიდი არ დაჰხვდა: ადიდებულ მტკვარს წაეღო. მტრები გაღმა დარჩნენ. რა უნდა ექმნა ქართველ ჯარსა? გაჩერება არ შეიძლებოდა: თათრები აიკლებდნენ გაღმა მხრის ზემო-ქართლს. „ამისა მხილველთა, მოგვითხრობს მემატიანე, შეავედრნეს თავნი ღმერთსა მეფემან სპითურთ", შესცვივდნენ ადიდებულს მტკვარში „და გავიდნენ ცხენის ცურვით უვნებლად ყოველნი". მტკვრის კიდით ჩუმად შეუნიშნველად ჩავიდნენ სურამის ბოლომდის. აქ შემოეყარა მეფეს ჯარი ზემო-ქართლისა. მაშინ მეფემ და მოურავმა დააწყეს რიგი სპისა. ქვეითი ჯარი თხრილებს შემოუსხეს და ცხენოსანის ჯარით მივიდნენ გათენებაზე თათრების ბანაკს, შესცვივდნენ ბანაკში და მოხდა ფიცხელი ომი ივნისს 1609 წელს. საოცარი მხნეობა გამოიჩინეს, განსაკუთრებით, დიდ-მოურავმა გიორგი სააკაძემ და თვით მეფე ლუარსაბმა. გასწყვიტეს ურიცხვი ხალხი თათრების ჯარისა და ისეთი თავ-ზარი დასცეს, რომ შიშით შეპყრობილნი და გონება დაკარგულნი სხვა-და სხვა მხრისკენ გარბოდნენ; ქართველები ჰკლავდნენ და ცოცხლად იჭერდნენ; მათი შიში ისეთი დიდი იყო, რომ, — მემატიანეს სიტყვით, — მესამე დღემდის უიარაღო დედაკაცებსაც კი გამოჰყავდათ თათრები ტყიდგან, გააშიშვლებდნენ ხოლმე და გაუშვებდნენ, რადგან ტყვეს ფასი არა ჰქონდა. ქართველთ დარჩათ მრთელი მდიდარი ბანაკი ოსმალთ-ჯარისა.

—ეგრი—

[1]) ქართლის ცხოვრებამ არ იცის ამ მღვდლის სახელი; ჩვენ სხვა ჩვენგან შეკრებილ საისტორიო ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, თუ რა ერქვა ამ მღვდელს

## გასართობი

**ინგლისელების თავაზიანობა.** ქაირელი კორრესპონდენტი გაზეთ. „Republique Française"-სი შემდეგს ამბავს მოგვითხრობს ინგლისის აფიცრების ცხოვრებიდგან. ქაირში მისულა ზამთრის გასატარებლად ლედი ბართვიკი, მდიდრისა და შემძლებელის ოჯახის ქალი, გაზ. „Morning Post"-ის გამომცემელის მეუღლე; მშვენიერი სადგომი დაუქირია და სალამოები გაუმართავს. პირველს სალამოზედ ყველა მოწვეულნა ინგლისის ჯარის აფიცრები გამოითვრნენ თურმე და ათას ნაირი უზრდელობა ჩაიდინეს. მეორე დღეს ლედი ბართენიკს საჯაროდ გამოუცხადებია უსიამოვნება იმის გამო, რომ აფიცრები დაითვრნენ და ბევრი უზრდელობა ჩაიდინესო. რამდენისამე დღის უკან ლედი ბართევიკმა კვლავ მოიწადინა სალამოს გამართვა და მოსაწვევი ბარათები დაარიგა ყველა თავის ნაცნობებთან; ამ დროს ეწვია ლედი ბართვიკს ჯარის უფროსი და გამოუცხადა თურმე, რომ არც ერთი ჩემი ხელ-ქვეითი აფიცერი არ დაესწრობა თქვენს სალამოს, თუ იმ სიტყვებისათვის ბოდიშს არ მოიხდით, რომ ვითომ უზრდელად მოიქცნენ ინგლისის ჯარის აფიცრები და ჩემს სახლში გამოითვრნენო. ქალი ბოდიშის მოხდას არ დაეთანხმა თურმე და ამიტომ ჯარის უფროსმა მკაცრად უთხრა: „ტყუილია ის ამბავი, რომ ვითომ ჩემს სახლში ღვინით გამოითვრნენ ინგლისის ჯარის აფიცრებიო, ქალბატონო, რადგან რა იყო თქვენს სახლში და რა უნდა დაელიათ, რომ დამთვრალიყვნენ?"

— მით უფრო უარესიო, უპასუხა ქალმა: მაშ, სჩანს, თქვენი აფიცრები ადრევე დამთვრალან და დალეულები მობძანებულან ჩემთანა. დიდად ვწუხვარ, რომ გზა შეჰშლიათ და საპყრობილის მაგიერ, ჩემთან შემოსულან; იმათი ადგილი საპყრობილეში იყო და არა ჩემს სახლშიო.

**

**გასათხოვარის ქალების საყურადღებოდ!** „Corrire di Roma" ერთს შემდეგს საინტერესო ამბავს მოგვითხრობს იტალიის ახალს მთავარ-სარდალს გენერალ სალეტტზე. სალეტტის მიუვიდა თურმე ერთის კეთილშობილის ახალგაზდა ქალისაგან ნელსურნელოვანებით შეკრული წერილი. ამ წერილით ახალგაზდა ქალი სთხოვდა გენერლს, რომ შემირთე, რადგან ძალიან მომწონხარ და შენს მეტს არავის მივსთხოვდებიო. გენერალი მაშინვე შეიმოსა თურმე თავის საუკეთესო სამოსელით, ყველა ორდენები გაიკეთა გულზედ და წავიდა წერილის მომწერ კეთილშობილ და ახალგაზდა ქალისას. ქალმა, რასაკვირველია, დაინახა თუ არა სალეტტი. სადღესასწაულო ტანსამოსით მორთული, იფიქრა: ჩემი თხოვნა ჭკუაში დასჯდომია და უეჭველია ჩემს სათხოვნელად მოსულაო. მაგრამ მწარედ მოსტყუვდა თურმე. გენერალმა გამოუცხადა, რომ უცოლო ტყუილად გგონივართ, ოც-და-სამი წელიწადია ჯვარ-დაწერილი გარ, მხოლოდ ეს არის, რომ ჩემს ცოლთან არა ვსცხოვრობო. აი როგორ მოხდა ეს ამბავიო. როდესაც ჯერ ახალგაზდა პარუჩიკი ვიყავი, ერთი კეთილშობილი ქალი შემიყვარდა. ქალიც დამეთანხმა და, ასე გასინჯეთ, დამნებდა კიდეც. რასაკვირველია, ეს ამბავი არ დაიმალა, ქალის მშობლებმა გამიგეს და მთხოვეს ჯვარი დამეწერა იმათს ქალზედ. მე მაშინვე დავთანხმდი, ჯვარი დავიწერე, მაგრამ ჯვარის-წერის მეორე დღეს გამოვუცხადე ცოლს: მე არას დროს არ ვიცხოვრებ იმ ქალთანა-მეთქი, რომელმაც ახალგაზდობაშივე ისეთს თავს დაგიწყებას მიეცა, რომ ქალობა ვერ დაიცვა და თავის პატიოსნება კაცს შესწირა-მეთქი.

## დეპეშა

2 ს აპრილს.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს" აუწყებენ 1-ს აპრილის დეპეშით თეირანიდამ, რომ რუსეთის მიერ მოციქულად გაგზავნილის თავადის დოლგორუკოვის მისაღებად ისეთი დიდი მზადება აქვთო, რომ ამისთანა მზადება არა ყოფილაო არამც თუ სხვა რომელისამე მოციქულისათვის, არამედ ელჩისათვისაც-კი.

ლონდონი. «რეიტერის სააგენტოს» შეუტყვია, რომ ავღანის სამზღვრის გამო ინგლისი მზად არის, რუსეთის სურვილისა მებრ, დაუთმოს რუსეთს ნაწილი იმ ადგილებისა ამურ-დარზედ, რომელიც დღეს ავღანელებს უპყრიათ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ავღანელებს სამაგიერო მიეცეთ სხვა ადგილას.

3-ს აპრილს

პეტერბურგი. დაიბეჭდა ხელ-შეკრულობა, რომელიც დაიდო რუსეთსა და ინგლისს შორის იმის თაობაზედ, რომ ორთავე ქვეყანამ მისცეს ერთმანერთს თავ-თავისი დამნაშავენი. ამ ხელ-შეკრულობის ძალით ამ ორმა სახელმწიფომ ერთმანერთს უნდა მისცენ ისეთი დამნაშავენი, რომელთაც ჰბრალდებათ: მკვლელობა, ყალბის ფულის მოჭრა, ფულის გაფლანგვა, ქურდობა, მოტყუებით ფულის მიღება, ცრუ-მოწმობა, ქალის გაუპატიურება, გადაწვა ქონებისა, ცარცვა და ზღვაზე ავაზაკობა. დამნაშავე არ უნდა მიეცეს იმ ქვეყანას, რომელსაც ეკუთვნის, თუ მისი დანაშაულობა საპოლიტიკო დანაშაულობაა.

### საკალენდარო ცნობანი

აპრილი 30 დღით არის.

**6 დღე ორშაბათი.** არხიეპისკ. ევტიხისა და იერემიასი. 120 მოწამეთა, აღსრულებულთა სპარსეთს. კათოლ. ვილჰელმისა და ცელესტინასი. სომეხ. მერელოცი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6 44.

**7 დღე სამშაბათი.** ღირსისა გიორგი ეპისკ. და დანიელისა. წმ. მამათა, დავით გარეჯის უდაბნოს მოწყვეტილთა. კათოლ. რუფინისა და ცირიაკისა. სომეხ. ხარება წმ. ქალწულის მარიამისა. მუსულ. მე 26 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—45.

**8 დღე ოთხშაბათი.** წმ. მოციქ. იროდიონისა. კათოლ. დიონისიისა და იანუარისა. მუსულ. მაჰმადი წინასწარ-მეტყველად გამოდის. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—13, ჩადის 6—39. მთვარე 28 დღისაა.

**9 დღე ხუთშაბათი.** წმ. მოწ. ევფსიხისა. კათოლ. მარიამ კლეოფისა და გუგონისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58; ტფილისში მზე ამოდის 5—11, ჩადის 6—46. მთვარე 29 დღისაა.

**10 დღე პარასკევი.** წმ. მოწ. ტერენტისა, მაქსიმესი და სხ. კათოლ. მაკარიასი და აპოლონისა. მუსულ. მე-29 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 5—9, ჩადის 7—49.

**11 დღე შაბათი.** ღირს. იოანესი, მღვდ.-მოწ. ეპისკ. ანტიპასი. კათოლ. ლეონისა და იეზაკიილასი. სომეხ. თავის-კვეთა წმ. იოანე ნათლის-მცემლისა. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა შაბანისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—50. ტფილისში მზე ამოდის 5—7, ჩადის 6—50. დაბადება მთვარისა დილის 11 საათსა და 57 წუთზედ.

## კერძო განცხადებანი

გამგე კომიტეტი ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის წესდების მე-7 პარაგრაფის ძალით სთხოვს წევრთა-დამფუძნებელთ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სადგურში, კუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ჩითახოვის სახლებში, 30 აპრილს 1887 წლისას, საღამოს ექვსს საათზე, **წლიური საზოგადო კრებაზე** დასასწრებად.

საზოგადო კრებას აქვს შემდეგი განსახილველი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსულის წლის ანგარიშისა და სავარაუდო ანგარიშისა (სმეტისა) მომავალის წლისა (პირველ მაისიდამ 1887 წ. პირველ მაისამდე 1888 წ.)

2) განთავისუფლება ზოგიერთა პანსიონერებისა ძველად დარჩენილ ვალისაგან.

3) ამორჩევა გამგე კომიტეტს ერთის წევრისა და მასთან ერთის კანდიდატისა.

4) ახალ წევრთა ამორჩევა.

(3—1)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ქილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მწვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.

ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა აუწყებს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 §-ის ძალით 2 მაისს ამა 1887 წ., დილის 10 საათზე, დანიშნულია საერთო კრება წევრთა არწრუნისეულ სახლში, სასახლის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები:

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1886 წ. განმავლობაში.

2) მოხსენება ბანკის მმართველობისა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზედ 1887 წლისათვის.

3) მოხსენება ბანკის მმართველობისა საერთო საჭიროებაზე.

4) არჩევანი ზედამხედველის კომიტეტის ერთის წევრისა ა. ს. გამრეკელის ნაცვლად.

5) არჩევანი მმართველობის ერთის წევრისა ნაცვლად თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილისა, რომელიც რიგისამებრ ანებებს თავს მმართველობას, და იმის კანდიდატისა.

6) არჩევანი დამფასებელის კომისიის ორის წევრისა ნაცვლად თთ. რ. ა. ჩოლოყაშვილისა და ბ. ი. რატიევისა და ამათის კანდიდატებისა.

7) მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც შედგენილ იქმნა საერთო კრების მიერ და მინდობილი ჰქონდა შეედგინა პროექტი, თუ როგორ უფრო კარგი იქმნება, რომ ტფილისის სათავად აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის წესდება შეიცვალოს. (6—2)

პატივი მაქვს ვაუწყო ტფილისის საზოგადოებას, რომ აღდგომის მეორე დღიდამ ლუდის სასმელს, როტონდაში „ტრამვაი", რომელიც ეკუთვნის აზნაურს ნ. პ. ლორთქიფანიძეს, დაიწყობა საზაფხულო სეზონი საერო გართობისა და დროსგატარებისა. როტონდაში ყოველ-დღე ნაშუადღევის 4 საათიდამ საღამოს 11 საათამდე სრული ხორო (38 კაცი) სამხედრო მუსიკისა კაპელმეისტერის ბ-ნ ბლავაჩის ლოტბარობით გამართავს კონცერტებს და დაუკრავს აწინდელს საუკეთესო პიესებს.

როტონდაში უფასოდ არის შესვლა

როგორც როტონდა, ისე ბაქანი ერთი-ორად არის ეხლა გადიდებული. აქ განსაკუთრებულ კონცერტების და საერო სეირნობის დროს გამართული იქნება ცალკე ადგილები მხოლოდ განათლებულის საზოგადოებისათვის მცირე ფასად. ლუდის საწყობი ათჯერ მეტად არის გადიდებული, ვიდრე შარშან იყო და ამ ჟამად ზაფხულისათვის დამზადებულია დიდ-ძალი ლუდი მშვენიერის თვისებისა, როგორც ბავარიისა, ისეც შავი ლუდი. ვინც ლუდის შეტყობა იცის და მოყვარულია ამ სასმელისა, ესთხოვეთ მობრძანდეს, უფასოდ მიირთვას და გასინჯოს ჰაშნიკი. აღდგომის მესამე კვირიდამ ოთხშაბათობით გაიმართება ხოლმე განსაკუთრებული გასართობი და შესაქცევარი ჯამბაზებითა, შუშხუნებით, ჰაეროსტატებით და სხვა-და სხვა გვარის სალხინო სანახავებითა. ყველა ეს გაიმართება ცალკე პროგრამითა და გამოცხადდება თავ-თავის დროზე, როგორც აფიშებში, ისე ყველა აქაურს გაზეთებში. როტონდაში ყოველთვის არის ცივი საჭმელები და დასანაყრებელი სანოვაგე, აგრეთვე გასაგრილებელნი შუშხუნა წყლები, ხმელი ხილი, ტკბილი შაქრის პურები და პაპიროსები.

როტონდის გამგებელი
ი. ბაქრაძე

(3—2)

# ვენის მაღაზია

გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივანისა.

მაქვს პატივი ვაცნობო ტფილისის პატივცემულს საზოგადოებას, რომ ამ დღეებში ახლად მივიღე ვენიდგან მრავლად საზაფხულო მზად-შეკერილი ტანისამოსი, როგორც კაცებისათვის, ისე ყმაწვილებისათვის, უკანასკნელის ფასონებისა; გარდა ამისა მაქვს კიდევ ტანისამოსი მოსკოვისა და ვარშავის წარჩინებულის ფაბრიკანტებისაგან. ფასები ყოველთათვის ხელ-მისაწდომია.

გ. ხუდაგვერდიანც

(8—6)